ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7505144

ნომერი: AR11092108

თარიღი : 29.05.2025

გაცემის თარიღი : 05.06.2025

გაცნობის თარიღი : 06.06.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ოთარ ჭილაძე , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- მთაწმინდის შეს.7ა ბ.14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 29 მაისის №AR11092108 განცხადებით მომართა აკაკი ჩხაიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებით №01.10.14.007.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 04 მარტიდან 2026 წლის 04 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2025 წლის 15 მაისის №7479703 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდა: 1987.19 კვ.მ. სასაწყობე ფართობად: 305.68 კვ.მ. საერთო ფართობად: 23893.07 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი, განმარტავს, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ -6.00 და -3.00 ნიშულების გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია ზოგიერთი ავტოსადგომის ნუმერაცია, ფართობი და ადგილმდებარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი -6.00 და -3.00 ნიშულების გეგმების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ -6.00 და -3.00 ნიშულების გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია ავტოსადგომების ნუმერაცია, ადგილმდებარეობა და ფართობები, აღნიშნული კი არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, წარმოდგენილ -6.00 და -3.00 ნიშულების გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია ავტოსადგომების ნუმერაცია, ადგილმდებარეობა და ფართობები, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და იგი საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 4 მარტის №7398696 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.